ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №3

ქ.ლანჩხუთი **22.04. 2019 წელი**

სხდომას ესწრებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე.

კომისიის წევრები: ზაალ სანაძე, ალექსანდრე მახათაძე, ზურაბ კუკულავა, კარლო კვიტაიშვილი, ზაზა წულაძე.

მოწვეული: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გია ნაჭყებია, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე, საკრებულოს მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატები: ირაკლი მარშანიშვილი, ოთარ პატიეშვილი.

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გრიგოლეთში სანაპირო ზოლის განვითარებასთან დაკავშირებით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი გ. ჩახვაძე/

2.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ ,,სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანა-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი გ. ჩახვაძე/

3.სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გრიგოლეთში სანაპირო ზოლის განვითარებასთან დაკავშირებით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს სასოფლო დარბაზის ერთობლივი ძალისხმევით სოფელ გრიგოლეთში განხორციელდა პროექტი ,,გურიის რეგიონის სამკურნალო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა გრიგოლეთის სანაპირო ქვიშის მაგნიტური ანომალიის რუკის ფორმირების საფძველზე“. პროექტის

შეჯდეგმა, კერძოდ კი, გრიგოლეთის სანაპირო ქვიშის მაცნიტური ანომალიის დადასტურებამ განუზომლად გაზარდა დასახლების სამკურნალო ტურიზმის პოტენციალი და შესაძლებლობები. მან ასევე აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცდა „2017-2021 წლების გრიგოლეთის მდგრადი განვითარების ინტეგრირებული სტრატეგიული გეგმა". ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ამ სტრატეგიის დოკუმენტში შესაბამისი ცვლილებების შეტანის განხორციელება და დამტკიცება. კერძოდ, სოფ. გრიგოლეთში სანაპირო ზოლის განვითარებასთან დაკავშირებით უპირველი იქნება შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი, საკრებულოს წევრებისა და დაინტერესებული პირების მონაწილეობით.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:
განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „საქველმოქმედო ცენტრი იავნანა-სოფის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გია ნაჭყებიამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, მიმდინარე წლის 26 მარტის №2215 განცხადებით მომართა ა(ა)იპ „საქველმოქმედო ცენტრი იავნანა"-ს (ს/კ 433642356) დირექტორმა ციცო ჩხარტიშვილმა, რომელმაც ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, მარჯანიშვილის ქ. №11-ში მდებარე 747 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განლაგებული 108, 68 კვ.მ შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.06.56.086) უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემა.

მან ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზემოაღნიშნული უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, არაუმეტეს ორი წლის ვადით სარგებლობის უფლებით გადასცეს ა(ა)იპ „საქველმოქმედო ცენტრ იავნანა"-ს, რომელიც ემსახურება 6-18 წლამდე ასაკის 24 მუნიციპალიტეტის, ქალაქის რისკის მქონე ბავშვს და ხელს უწყობს, მათი სრულყოფილ პიროვნებებად ჩამოყალიბებას. ასევე ის ახორციელებს მისთვის წესდებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:
განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნის გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: გიორგი ჩახვაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის დასკვნა №3

22.04.2019წელი

მოგახსენებიათრომ მიმდინარე წლის 22 აპრილს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომაზე განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გრიგოლეთში სანაპირო ზოლის განვითარებასთან დაკავშირებით დროებითი საბუნაო ჯგუფის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი გ. ჩახვაძე/

2.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანა-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი გ. ჩახვაძე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გრიგოლეთში სანაპირო ზოლის განვითარებასთან დაკავშირებით დროებითი საბუნაო ჯგუფის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანა-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების
მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხთა კომისიისთავმჯდომარე: გიორგი ჩახვაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

22.04. 2019 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	გიორგი ჩახვაძე	11 55	
2	ზაზა წულაძე	12:00	
3	კარლო კვიტაიშვილი	11.57	
4	ალექსანდრე მახათაძე	11 55	
5	ზაალ სანაძე	11 55	
6	ოთარ პატიეშვილი	არ ესწრებოდა	
7	ზურაბ კუკულავა	11 55	
8	ირაკლი მარშანიშვილი	არ ესწრებოდა	